განკარგულება:**g-31.31210574**
თარიღი:**26/02/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №8

2021 წლის 26 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

გრიგოლეთი მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის პირას, ზღვის დონიდან საშუალოდ 3 მ-ზე. მანძილი თბილისიდან – 315 კმ-ია, ლანჩხუთიდან 25 კმ., სუფსიდან 7 კმ, ურეკიდან (რკინიგზის უახლოესი სადგური) 6 კმ. მასზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთი ს12. სოფელში დგას გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია. ტერიტორიაზე მდებარეობს ტბა გრიგოლეთი. სოფელ გრიგოლეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის საყოველთაო აღწერით 286-ია. სანაპირო ზოლის მცირე ნაწილი მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ არის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის ტერიტორია (ე.წ. ყვავილნარი), რომელიც ასევე წარმოადგენს სამკურნალო თვისებების მქონე პლაჟს და გრიგოლეთთან ერთად ქმნის ერთიან სანაპირო ზოლს.

გრიგოლეთსა და ყვავილნარს არ გააჩნიათ კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია, ამდენად, მათი განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, აფერხებს დამსვენებლებისა და ტურისტული ნაკადის ზრდადობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების მიზნით გამოცხადდა კონკურსი, რომელში გამარჯვებულმა ა(ა)იპ „საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის ინსტიტუტმა“ მოამზადა გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია. აგრეთვე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულია გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსისა და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განაშენიანების მართვის რეგლამენტი
(ტექსტური დებულებები)

მიწის ნაკვეთები:

1. გეგმის მოქმედების ფარგლებში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ძირითადი დებულებების და შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ მოთხოვნათა შესაბამისად, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:
   - ა) დარგობრივი ზონის მოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ ზონაში დადგენილი პირობების დაცვით, მათ შორის სანაპირო საინჟინრო დაცვის ზონის მკაცრი ზედამხედველობის ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ შეუსაბამოდ რეგისტრირებულ/გამოსნულ მიწის ნაკვეთებს და შესაბამისობის უზრუნველყოფამდე (იხ. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა), ყველა მათგანზე დადგენილ უნდა იქნეს საჯარო სერვიტუტის უფლება საზოგადოებრივი სასარგებლობისთვის.
   - ბ) სამშენებლო ტერიტორიებზე მოქცეული მიწის ნაკვეთების გამოყენების მინიმალური დასაშვები ფართობი და/ან ზომები განისაზღვრება წინამდებარე გეგმით და/ან შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ-ით.
2. მიწის ნაკვეთი, რომელთა საზღვრების სარეგისტრაციო პროცესია არ შეესაბამება მისივე ფიზიკური საზღვრების კოორდინატებს, მის სამშენებლოდ გამოყენებამდე უნ უნდა მონაცვლდეს შესაბამისი უნნის/სამეზობლოს მონაცვლების გეგმის მიხედვით (კოდექსი, მუხლი 51). თუ მონაცვლება შეუძლებელია ობიექტური მიზეზით, მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შეუსაბამობის ხარისხის გაუზრდელად, რაც გულისხმობს მშენებლობას ნაკვეთის ფაქტობრივი საზღვრების (შემოღობილი) ფარგლებში.
3. მონაცვლებული მიწის ნაკვეთის ყოველი შემდგომი მონაცვლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კოდექსის 70-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ამ შემთხვევაში:
   - ა) მიწის ნაკვეთრ(ებ)ს უნარჩუნდება ის სამშენებლო პოტენციალი, რაც მისთვისაა დადგენილი შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ-ით და უნდა დაანგარიშდეს გაერთიანებამდე არსებული თანაფარდობის დაცვით;
   - ბ) კერძო სერვიტუტი (სსეთის არსებობისას) აღარ გამოიყენება / უქმდება, თუ ის ემსახურებოდა გაერთიანებამდე რომელიმე ამ ნაკვეთს და ამის საჭიროება მოისპობა გაერთიანებით.
4. საზოგადოებრივი სერვიტუტის სამეზობლო საზღვართან შეთავსების შემთხვევაში, ამ საზღვრის მიმართ გამოიყენება ძირითადი დებულებებით დადგენილი მოთხოვნები და ვრცელდება საზ. მიჯნის ზონის უფლებები.

გამოყენების ნებადართული სახეობები:

1. შშ უნდა დაზუსტდეს შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ-ში ძირითადი დებულებებით (მუხლი 4, პ. 3) განსაზღვრული ქვეზონების შესაბამისად, წინამდებარე გეგმაში მოცემული მითითებების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ქვეზონების გამოყოფა კოდექსის და ძირითადი დებულებების (მუხლი 4, პ. 4) მოთხოვნათა დაცვით;
2. სამშენებლო ტერიტორიებზე:
   - ა) გამოყენების ნებადართული სახეობები მიიღება ძირითადი დებულებების და არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ საფუძველზე, წინამდებარე გეგმის პირობების გათვალისწინებით;
   - ბ) გამოყენების საგამონაკლისო სახეობა განისაზღვრება წინამდებარე გეგმითა და შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ რეგლამენტით.
3. ყველა სხვა ტერიტორიის გამოყენება დასაშვებია მისი ფუნქციით განმარტებული სახით, ძირითადი დებულებების მოთხოვნათა შესაბამისად და არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ რეგლამენტით.
4. იმ შეუსაბამო მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამიჯნულია წინამდებარე გეგმის დამტკიცებამდე და ფართობი შეადგენს ≤100 კვ.მ, წინამდებარე გეგმით, ძირითადი დებულებებით და/ან შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ დადგენილი გამოყენების სახეობებისთვის ნებადართული კონსტრუქციის ტიპი არის მხოლოდ დროებითი შენობა-ნაგებობა (განმარტება საქართველოს მთავრობის 2019 წ N255 დადგენილებით) ან საცხოვრებელი ფუნქციებით აღჭურვილი ავტომობილი და/ან კემპინგი.

განაშენიანების პარამეტრები

1. ყველა სტანდარტული განაშენიანების რეგულირების პარამეტრი და მათი დასაშვები მაჩვენებლის ზღვრები, რაც არ არის ამ გეგმით დადგენილი, მიიღება ძირითადი დებულებებით და შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ-ით.
2. წინამდებარე გეგმით დადგენილია განაშენიანების (სამშენებლოდ გამოყენების) შემდეგი პარამეტრები:
   - ა) განაშენიანების კოეფიციენტი – $კ^1$ და $კ^3$:
     - ა.ა) ≤100 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთისთვის — $კ^1$=0.5, $კ^3$=0.4;
     - ა.ბ) ≤ 250 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთისთვის — $კ^1$=0.4, $კ^3$=0.5;
     - ა.გ) ≤ 500 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთისთვის — $კ^1$=0.3, $კ^3$=0.6;
   - ბ) საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე – ᲙᲬ „ბინა/პა" (საცხოვრებელი და სასტუმრო ფუნქციის შენობებისთვის);
   - გ) მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი:
     - გ.ა) ის მიწის ნაკვეთები რომლებიც გაიმიჯნებიან წინამდებარე გეგმის დამტკიცების შემდგომ, მათი ფართობი არ უნდა იყოს 500 კვ.მ-ზე ნაკლები.
     - გ.ბ) ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გაიმიჯნენ წინამდებარე გეგმის დამტკიცებამდე 500 კვ.მ-ზე ნაკლები ფართობით, წარმოადგენენ შეუსაბამო მიწის ნაკვეთებს და მათი სამშენებლოდან გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ, ხოლო მისი არ არსებობის პირობებში, იმავე სამეზობლოში დომინანტურად გავრცელებული განაშენიანების ფაქტობრივი პარამეტრებითა და გაპირობებული ფუნქციებით, წინამდებარე გეგმით დადგენილი პირობების დაცვით.
   - დ) განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრები მოცემულია ქვემოთ.

სხვა და/ან დამეგებითი პირობები რეგულირდება ძირითადი დებულებებითა და/ან შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ რეგლამენტით.

3. განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ანგარიშის წესი:
   - ა) $კ^1$, $კ^2$, $კ^3$ – ანგარიშის წესი დადგენილია ძირითადი დებულებებით;
   - ბ) ᲙᲬ – მიიღება თითოეული ქვეზონისთვის ამ გეგმით დადგენილი მაქს. სიმჭიდროვიდან, რაც ცალკეეულ მიწის ნაკვეთზე გამოითვლება შემდეგგნაირად: SᲛიწის ნაკვეთისა / 10000 კვ.მ X ᲙᲬᲖონისთვის დადგენილი. გარდა შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ მითითებულისა. სასტუმროსთვის ან სასტუმროს ტიპის სახლისთვის შეიძლება დაეშვიდოს დადგენილ მაჩვენებელს არაუმეტეს 10% პერსონალისთვის, რასაც არ მოეთხოვება P (ა/ს). ᲙᲬ მრგვალდება მთელ რიცხვამდე, მაგრამ არანაკლებ 1-სა;
   - გ) განაშენიანების სიმაღლე – მენობის/ნაგებობის საანგარიშო სიმაღლე ან ზედა ზღვარი (ძირითადი დებულებები, მუხლი 38). სიმაღლის ანგარიშისას უყვლელად მოქმედებს ძირითადი დებულებების 41-ე მუხლი, მე-10 პუნქტის პირობები;
   - დ) სართული – იანგარიშება შენობის მინიმპირა სართულიდან ბოლო სართულის ჩათვლით, ყველა ტიპის სართული, გარდა ტექნიკური სართულისა და მინისქვეშა სართულისა, თუ ასეთი სართულზე სპეციალური მითითება არ არის ამ გეგმაზე ან შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ.
   - ე) მიწის ნაკვეთის ფართობი მრგვალდება 1 კვ.მ სიზუსტეით, ხოლო ზომები — 1 მ სიზუსტეით.
4. შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ ფალკეული მიწის ნაკვეთებისთვის შესაძლებელია დადგინდეს $კ^1$, $კ^2$, განაშენიანების სიმაღლე ან ᲙᲬ პარამეტრების ბინუს მაჩვენებელი, როგორც დამატებითი, საგამონაკლისო უფლება (კოდექსი მუხლი 41, ძირითადი დებულებები მუხლი 33) და წამახალისებელი ღონისძიება შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის. ბონუსის გამოყენების წინაპირობა დაინტერესებული პირის მონაწილეობა საჯარო ინტერესით განპირობებულ რომელიმე ქალაქთმშენებლობით ღონისძიებაში (იხ. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა), საკუთარი სახსრებით;
5. ბონუსის მიღებისთვის დაინტერესებული პირი უფლებამოსილი იდმინისტრაციულ ორგანოსთან დებს იდმინისტრაციულ ხელშეკრულებას (კოდექსი, მუხლი 47) და დამატებით წარადგენს, კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად:
   - ა) სანებართვო დოკუმენტს საკუთარი მშენებლობისა და ღონისძიების განხორციელებისთვის, თუ ღონისძიება გათვალისწინებულია დაინტერესებული პირის იმავე მიწის ნაკვეთზე, სადაც ითხოვს ბონუსის მინიჭებას;
   - ბ) სამშენებლო დოკუმენტს ღონისძიების განხორციელებისთვის და ბონუსის გამოყენების ამსახველ სანებართვო დოკუმენტს, თუ ღონისძიება გათვალისწინებულია სხვა მიწის ნაკვეთზე.
6. იდმინისტრაციული ხელშეკრულების დარღვევა (ვადაგადაცილება და/ან შეუსრულებლობა) და/ან სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს ბონუსის გამოყენების უფლების შეჩერებას (მიზეზის აღმოფხვრამდე) ან ჩამორთმევას (თუ შედეგების გამოსწორება შეუძლებელია დამრღვევის მხრიდან), რაც აისახება შესაბამის დადგენილებაში (კოდექსი, მუხლი 127).
7. ბონუსის ჩამორთმევის შემდეგ მშენებარე ობიექტი განსიღულ უნდა იქნეს წინამდებარე გეგმით და/ან უნნის/სამეზობლოს გდგ დადგენილი პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლის ფარგლებში. მშენებლობის ნებართვის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ახალი მშენებლობის ნებართვის მიღების გზით (კოდექსი, მუხლი 112).

განაშენიანების სახეობა და ესთეტიკური პარამეტრები

1. აქ მოცემულია მოთხოვნები არ ვრცელდება ტექნიკურ და სატრანსპორო ინფრასტრუქტურაზე.
2. განაშენიანების სახეობა დგინდება შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ, ძირითადი დებულებების მე-40 მუხლის შესაბამისად;
3. განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრები დადგენილია ძირითადი დებულებების 49-ე მუხლის შესაბამისად.
4. დაუშვებელია მენობის/ნაგებობის სახურავზე ნებისმიერი ფორმის/პროფილის შემდეგი გადასხვრვის მასალების გამოყენება:
   - ა) მოთუთიებული თუნუქი, გარდა შეღებილისა ან სხვადაგარი დაფარულობისა;
   - ბ) აზბესტ-ცეტონის შიფერი, მათ შორის შეღებილი ან სხვადაგარი დაფარულობისა.
5. სახურავზე მასალების ფერების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას მიმდებარე გარემო (ბუნებრივი თუ ესთეტიკური თვალსაზრისით ღირებული განაშენიანება). ფერთა რეკომენდებული ფონალობა დაბალი სიმკვეთრის რუხი, პასტელური *(ნებისმიერი ფერის ტერრეინის)* ფონალობა.
6. საყოფაცხოვრები, სატრანსპორო და/ან კურორტის მომსახურების ობიექტი (გარდა ხაზოვანი ნაგებობისა) უნდა დაპროექტდეს/აშენდეს იმგვარად, რომ მომსახურების პროცესი არ აღიქმებოდეს საჯარო გზიდან/ქუჩიდან. ამ მიზნით დასაშვებია ეკრანების, ჟალუზების და/ან სხვა მსგავსი ელემენტების გამოყენება ფასადზე.
7. ექსტერიერის ელემენტები და დანადგარები:
   - ა) საინფორმაციო და/ან სარეკლამო აბრების, წარწერების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე შენობის ფასადის და/ან სახურავის ფართობის 30 %-ს, გარდა შენობის ყრუ ფასადისა, ნაგებობისა და/ან მშენებარე შენობა-ნაგებობისა.
   - ბ) სარეცხის საშრობი, გათბობის/კონდიცირების და სხვა მსგავსი დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. დაუშვებელია ასეთი დანადგარების განთავსება იმ მხარეს, რომელიც სიგრძის და/ან კ/ან განაშენიანების საერთო აღქმის ნაწილია;
   - გ) ანტენები (სატელიტური, რადიო და სხვა) უნდა განთავსდეს შენობის (ფასადი, სახურავი) ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება იმ მხარეს, რომელიც სიგრძის ან/და განაშენიანების საერთო აღქმის ნაწილია.
   - დ) ღობიების დამსგავი საშუალებები (ჟალუზების, გისოსების და სხვა) უნდა მოეწყოს ერთიანი გადაწყვეტის საფუძველზე.

სხვა პირობები

1. მიწის ნაკვეთების შემოღობვა:
   - ა) არასამშენებლო ტერიტორიებზე დაუშვებელია, გარდა ტექნიკური ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილებისა და ტერიტორიებისა.
   - ბ) სამშენებლო ტერიტორიებზე კაპიტალური, ყრუ ღობის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე ქრნენის ზედაპირიდან არ უნდა იყოს 1.2 მეტრზე მეტი, რომელზეც დასაშვებია მსუბუქი, არაყრუ კონსტრუქციის (ბადე, მინა, ცხაური და მსგავსი) ან გამმწვანების მოწყობა, არაუმეტეს 0.4 მეტრისა.
2. მიწის ნაკვეთის გამწვანება რეგულირდება ძირითადი დებულებებით და დამატებით შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ.
3. შეუსაბამო უძრავი ნივთის შესაბამისობაში მოყვანა / შეუსაბამობის აღმოფხვრა, სრულად ან ნაწილობრივ, განხილება საზოგადოებრივი ინტერესებით განპირობებულ საჯარო ღონისძიებად და მასზე ასევე ვრცელდება წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული წამახალისებელი ღონისძიებები.
4. მშენებლობის ნებართვის გაცემის წინაპირობა არის შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ, ხოლო მისი არ არსებობის პირობებში — სამეზობლოში დომინანტურად გავრცელებული განაშენიანების ფაქტობრივი პარამეტრები, კოდექსის 67-ე მუხლის, ძირითადი დებულებების 21-ე მუხლის მოთხოვნათა და „თანაბარი შესაძლებელობების სიგრცის" პრინციპის დაცვით,
5. ყველა სხვა პირობა, რაც წინამდებარე გეგმით არაა დადგენილი, მაგრამ დადგენილია ძირითადი დებულებებით, უცვლელად გამოიყენება.
6. დარგობრივი რეგულმენტების/პირობების მიმართ გამოყენება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა.
7. სარეზერვო ტერიტორიების სამშენებლოდან გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უნნის/სამეზობლოს გდგ საფუძველზე, ხოლო მისი არ არსებობის პირობებში — ჩამოყალიბებულ გარემოში არსებით ცვლილებების შეგანის უფლების გარეშე, ფუნქციით განპირობებული გამოყენების დამხმარე ფუნქციების მქონე ობიექტების მშენებლობით, კოდექსის 67-ე, 68-ე მუხლებისა და ძირითადი დებულებების 21-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.



მანაშენიანების გეგმა

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ
ᲡᲣᲤᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ

გეგმარებითი ერთეული
გრიგოლეთისა და ს. წყალწმინდის უბან ყვავილნარის სანაპირო ზოლი

პირობითი აღნიშვნები
რეგლამენტი

გამოყენების სახეობა და განაშენიანების რეგულირების პარამეტრები, განაშენიანების სახეობა, განაშენიანების სიმაღლე და განაშენიანების სიხშირეები

- ფიზიკური პირის საცხოვრებელი სახლი
- ოჯახური სასტუმრო
- ტურისტული ბაზა
- ტურისტული ბანაკი
- ტურისტული ბაზა
- ტურისტული ბანაკი
- ტურისტული ბაზა
- ტურისტული ბანაკი